ლ ე ვ ა ნ ს ა მ ხ ა რ ა უ ლ ი ს ს ა ხ ე ლ ო ბ ი ს

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს უფროსის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 38/1

14/04/2022

თბილისი

.... 201 წ.

6000374422

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ემბლემის დამტკიცების თაობაზე

„სახელმწიფო სიმბოლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N255 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ემბლემა თანდართული ესკიზის და აღწერილობის შესაბამისად.
2. ბრძანება ძალაშია 2022 წლის 1 მაისიდან.

მამუკა ჯანგულაშვილი
ბიუროს უფროსი

დანართი

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ემბლემა

სასამართლო
ექსპერტიზის
ეროვნული ბიურო

აღწერილობა:

ემბლემა წარმოადგენს მეწამული არშიით შემოსაზღვრულ არასრულ ჰერალდიკურ ფარს. ვერცხლის ველის ცენტრში ლაჟვარდის კონტურით გამოსახულია დნმ-ის (დეზოქსირიბონუკლეინის მჟავის) მოლეკულის ორმაგი სპირალის სტილიზებული სტრუქტურა. ირგვლივ ლაჟვარდის კონტურით გამოსახულია სასწორი ორი პინით.